სახელმწიფო არსებობს ადამიანთა შორის შეთანხმების ძალით და იმიტომ, რომ ის სჭირდებათ თვითონ ადამიანებს; იმიტომ, რომ ის შეესაბამება ადამიანის ყველაზე უფრო სისხლხორცეულ ინტერესს - უსაფრთხოების ინტერესს. მაგრამ შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ, საკმარისია, უბრალოდ, ადამიანთა შორის შეთანხმება, ანუ ჩვენ შევთანხმდეთ, რომ მოდი ერთმანეთს თავს ნუ დავესხმებით და ყველამ ერთად დავუჯეროთ სახელმწიფოს. ჰობსის აზრით, მხოლოდ ადამიანთა შორის შეთანხმება რომ იყოს სახელმწიფოს საფუძველი, ეს იქნებოდა დიდი გულუბრყვილობა, იმიტომ, რომ ადამიანებმა გამოცდილებით იციან, რომ შეიძლება სხვა ადამიანმა შეთანხმება დაარღვიოს (”გადაგაგდოს”, ჟარგონით რომ ვთქვათ), ამიტომ ადამიანებს შორის შეთანხმება თავისთავად, თუ ეს მხოლოდ და მხოლოდ პატიოსან სიტყვაზე და ადამიანების პირიანობაზე არის დამოკიდებული, სანდო არ იქნება. ასე რომ, ადამიანები, რომლებიც, როგორც ვიცით, არ ენდობიან ერთმანეთს, უცებ ასეთი მიმნდობები არ აღმოჩნდებიან, რომ აი, ვიღაცა მიხვდა, რომ, მოდი, ერთმანეთთან ნუ ვიომებთ და ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაუჯერებენ.
აქედან გამომდინარეობს მესამე ბუნებითი კანონი - ლათინურად ის გამოითქმის: PACTA SUNT SERVANDA, რომელიც ნიშნავს: „ხელშეკრულებები დაცულ უნდა იქნას“. ეს თავისთავად თითქოს ბანალური აზრია - შეუთანხმდები ადამიანს, ხელშეკრულებას რომ დადებ, უნდა დაიცვა, მაგრამ მთავარია, რა არის ამ დაცვის წინაპირობა, რა არის ამ დაცვის საფუძველი. რა თქმა უნდა, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს შეიძლება იყოს მორალი, მაგრამ, როგორც ვთქვით, მორალი სანდო არ არის, ყოველთვის აღმოჩნდება ვიღაცა, ვინც არ არის მორალური და დაარღვევს ხელშეკრულებას. ამიტომ უნდა იყოს ხელშეკრულების დაცვის გარანტია.
ადამიანები რომ დადებენ ხელშეკრულებას - მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას იმაზე, რომ ისინი დაემორჩილებიან მესამე ძალას, ანუ სახელმწიფოს - უნდა არსებობდეს გარანტია, რომ ისინი ამას დაიცავენ და ამის გარანტია შეიძლება იყოს მხოლოდ დასჯის შიში. მათ უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი არ დაიცავენ ხელშეკრულებას, მათ დასჯიან. ცხადია, დამსჯელი არის სწორედ სახელმწიფო, ანუ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს დასჯის რესურსები, მას უნდა ჰქონდეს ძალის გამოყენების შესაძლებლობა, უნარი და უფლება და ჩვენ ყველანი უნდა შევთანხმდეთ სწორედ ამაზე, რომ ჩვენ რომ ეს ხელშეკრულება დავდეთ, ამ ხელშეკრულების დაცვის გარანტი არის სახელმწიფო.
სახელმწიფოს შეიძლება ბევრი სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდეს - ადამიანები კამათობენ ხშირად იმაზე, რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს და რა არ უნდა ჰქონდეს - მაგრამ ყველაზე ცენტრალური, საბაზისო, ელემენტარული ფუნქცია, ჰობსის აზრით (და არა მარტო ჰობსის აზრით), არის სწორედ კონტრაქტების შესრულება, ადამიანთა შორის ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფა. სახელმწიფო არსებობს ადამიანთა შორის შეთანხმების ძალით, მაგრამ ამ შეთანხმებას ძალა აქვს იმიტომ, რომ სახელმწიფო არსებობს. სახელმწიფო რომ არ არსებობდეს და ჩვენ რომ არ გვეშინოდეს, რომ ამ ხელშეკრულებას დაუსჯელად ვერ დავარღვევთ, ამ შემთხვევაში ამ ხელშეკრულებას რეალური ძალა არ ექნება... ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ არ გვეშინია ერთმანეთის

საბოლოო ჯამში სწორედ იმიტომ, რომ ყველას ერთად გვეშინია სახელმწიფოსი, ანუ ხდება ერთგვარად შიშის ცენტრალიზაცია, თუ შეიძლება ასე ითქვას.
სახელმწიფოს ასეთ ხედვას უკავშირდება ჰობსის წიგნის სათაური „ლევიათანი“ - ლევიათანი ეს არის ბიბლიური პერსონაჟი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი ზღვის ურჩხული. ჰობსი კი სახელმწიფოს ეძახის ლევიათანს, ანუ ერთგვარ ურჩხულს. როგორც ჩანს, აქ სწორედ შიში არის ის, რაც ორივეს აკავშირებს, ანუ როგორც ადამიანებს ეშინიათ ურჩხულის, ასევე ეშინიათ მათ სახელმწიფოსი და სწორედ ამის წყალობით არის სახელმწიფო ეფექტური, მას უნდა ჰქონდეს შეშინების ძალა.
კიდევ სხვა ტერმინი, რომელსაც ჰობსი ხმარობს სახელმწიფოს შესახებ, ეს არის "მოკვდავი ღმერთი", ანუ როგორც ადამიანებს ეშინიათ ღმერთის და რელიგიაშიც მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს ღმერთის ეშინია და ამიტომ არ სცოდავს, თუმცა შეიძლება სხვა შემთხვევაში შეეცოდა; ეს არის სადღაც მიღმური ძალის შიში. ამქვეყნად არსებობს სახელმწიფო, რომელიც ღმერთივით არის, იგივეა, რაც ღმერთი. მას აქვს ყველანაირი ძალაუფლება და სწორედ ამ მოკვდავი ღმერთის შიშით ადამიანები თავს იკავებენ აგრესიისაგან და იმისგან, რომ მოყვასს, ასე ვთქვათ, მეორე ადამიანს, საფრთხე არ შეუქმნან. რა თქმა უნდა, მოკვდავი იმიტომ არის ეს "ღმერთი", რომ მოკვდავი ადამიანების ხელით იმართება, და იმიტომაც, რომ შესაძლოა ერთ დღეს ეს სახელმწიფოც განადგურდეს. ისტორიაში ბევრი სახელმწიფო განადგურებულა, სხვა სახელმწიფოები შექმნილა. მაგრამ სანამ სახელმწიფო არსებობს, სანამ ხელისუფლება არსებობს, ქვეშევრდომი უყურებს სახელმწიფოს, როგორც ღმერთს. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებმა, რაკი მათ ძალადობაზე უფლება მთლიანად გადასცეს სახელმწიფოს, პრაქტიკულად ყველაფრის უფლება მისცეს სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, როგორც ვთქვი, ესეც თავისთავად სახიფათოა, იმიტომ რომ არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ სახელმწიფო იქნება სამართლიანი და სახელმწიფოს თუნდაც უსამართლოდ მე არ დამჩაგრავს, მაგრამ ალტერნატივა არის ბუნებითი მდგომარეობა, რომელიც იმდენად საშინელია, რომ ჯობია მთლიანად დაემორჩილო სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ ჰობსი არის აბსოლუტური ძალაუფლების გამმართლებელი - ხშირად ამბობენ, რომ ის არის ტირანიის, დიქტატურის გამმართლებელი, რაც რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მეორე მხრივ ის ამავე დროს (ეს შეიძლება პარადოქსად ჟღერდეს) სათავეს უდებს ლიბერალურ ტრადიციას, იმიტომ, რომ თვით ამ ძალაუფლების გამართლება ხდება ადამიანის ინტერესებიდან ამოსვლით. ანუ ძალაუფლებას უნდა დაემორჩილო არა იმიტომ, რომ საკრალურია, ღმერთმა დაადგინა და ათადან და ბაბადან ასე მოდის ტრადიცია გვეუბნება, რომ მას უნდა დავემორჩილოთ და ღმერთი დაგვსჯის; არა, ჩემთვის ჯობია, ჩემი ინტერესებიდან, ბუნებითი კანონებიდან, ჩემი საკუთარი გონების კანონებიდან კანონებიდან გამომდინარე. გადაწყვიტეს თვითონ ადამიანებმა რომ, ისინი უნდა დაემორჩილონ სახელმწიფოს, ამიტომ ჰობსი ამავე დროს სათავეს უდებს ლიბერალურ ტრადიციას, ანუ სახელმწიფოს გამართლებას ადამიანის ინტერესებიდან გამომდინარე. სახელმწიფო იმიტომ არის აუცილებელი, რომ ის იცავს ჩვენს უსაფრთხოებას. სახელმწიფო - ეს არის ინდივიდების, ადამიანების უსაფრთხოების დაცვის გარანტი და სწორედ ამით არის ლეგიტიმური, თუმცა, რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა მოაზროვნეებმა შემდეგ სხვანაირად

დაინახონ ეს უსაფრთხოების გარანტიები, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ სახელმწიფო ეს არის არის ურჩხული, რაღაც სხვა, რომლისაც გეშინია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ (ჰობსი ამაზე ლაპარაკობს) ის არ არის წმინდად გარეგანი ძალა, ის არის ძალა, რომლის ავტორიზაციას ჩვენ თვითონ ვახდენთ, ანუ ის ჩვენი მიცემული უფლებამოსილებით მოქმედებს - ის რომ გვსჯის, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარ თავს ვსჯით, იმიტომ, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი წარმომადგენელი და საკუთარი თავის დასჯის უფლება მივანიჭეთ მას, ე.ი. მისი მოქმედება იგივე ჩვენი მოქმედებაა. დღესაც, როდესაც ვამბობთ, საქართველომ ეს გააკეთა, ამერიკამ სხვა რამე გააკეთა, საფრანგეთმა კიდევ სხვა რამე გააკეთა, ცხადია, ხალხი არ აკეთებს ამას, ამას აკეთებს მთავრობა, მაგრამ ეს მთავრობა ავტორიზებული ხელისუფლებისგან, ანუ ხელისუფლების წარმომადგენელია. ესეც გარკვეულად, საბოლოო ჯამში, ლიბერალური ტრადიციის საფუძველია, ანუ სახელმწიფო იმდენად არის გამართლებული, რამდენადაც ის წარმოადგენს ხალხს და წარმოადგენს ხალხის ინტერესებს, თუმცა, რა თქმა უნდა, იმ სქემაში, რომელიც ჰობსთან გვაქვს, სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს ამ ხალხის რწმუნების ბოროტად გამოყენების საშუალება და ადამიანს უკან დაბრუნება აღარ შეუძლია. ეს არის ხელშეკრულება, რომელიც შენ შეიძლება დადო, მაგრამ აღარ შეგიძლია გაწყვიტო. აქ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ხელისუფლება არსებობს ხელშეკრულების ძალით, ადამიანთა შორის შეთანხმების ძალით, მაგრამ ეს არ არის ხელშეკრულება სახელმწიფოსა ან ხელისუფლებასა და ხალხს შორის. ჰობსი ამბობს, რომ ასეთი რამ იქნებოდა აბსურდი, იმიტომ, რომ სანამ ხელისუფლება არ არსებობს, ხალხი, როგორც მთლიანობაც, არ არსებობს. არსებობენ ცალკეული ინდივიდები და სახელმწიფომ, გამოდის, რომ ცალ-ცალკე ყველა ინდივიდთან უნდა დადოს ხელშეკრულება, რაც თავის მხრივ აბსურდია, იმიტომ, რომ ყველა ადამიანს შეიძლება სხვანაირი აზრი ჰქონდეს და შეუძლებელი იყოს, ყველა ადამიანთან ხელისუფლებამ ხელშეკრულება დადოს. ის შეთანხმება, რომლის ძალითაც არსებობს სახელმწიფო, არის შეთანხმება ადამიანებს შორის. ჩვენ, ადამიანები, ერთმანეთს ვუთანხმდებით, რომ ყველანი დავემორჩილებით მესამეს, ანუ სახელმწიფოს, და შესაბამისად, მე თუ გამოვედი ამ ხელშეკრულებიდან, ანუ უარი ვთქვი ამ პირობაზე, ეს ნიშნავს რომ მე პირადად ინდივიდუალურად ვუბრუნდები ბუნებით მდგომარეობას, ანუ მდგომარეობას ომისა ყველასი ყველას წინააღმდეგ, ანუ ყველა სხვა, როგორც სახელმწიფო მთლიანობაში, ისევე კონკრეტული ყველა სხვა ადამიანი ჩემთან აღმოჩნდება ომის მდგომარეობაში, რაც თვითმკვლელობის ეკვივალენტური იქნებოდა. ეს არის ხელშეკრულება, რომელსაც უკან გამოსავალი აღარ აქვს, ასე რომ, ჩვენ თუ ვემორჩილებით ხელისუფლებას, ე.ი. ბოლომდე ვემორჩილებით.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი დათქმა აქვს ჰობსს, როდესაც ის ამბობს, რომ არ შეიძლება ადამიანმა თქვას (შეიძლება თქვას კიდეც, მაგრამ არ ექნება ძალა და ლეგიტიმურობა), რომ მე არ დავემორჩილები ხელისუფლებას, იმიტომ, რომ მე მყავს სხვა ხელისუფალი, უფრო მაღალი ხელისუფალი - ეს არის ღმერთი. ესეც არ არის მხოლოდ თეორიული დაშვება. რაკი სამოქალაქო ომი ინგლისისა იყო ამავე დროს რელიგიური ომი, შეეძლო ვიღაცას ეთქვა, რომ ეს ხელისუფლება არის სხვა ეკლესიის წარმომადგენელი, ან მეფე თუ პარლამენტი ან

დიქტატორი, როგორიც იყო ოლივერ კრომველი, რაღაც სხვა რელიგიურ შეხედულებებს ამკვიდრებს, რაც ჩემთვის მიუღებელია, იმიტომ, რომ მე სხვა რელიგიური შეხედულებები მაქვს და ღმერთი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეფე, ამიტომ მე ღმერთის ნებას დავემორჩილები და მეფის ნებას არ დავემორჩილები.
ჰობსი ამბობს ამაზე, რომ ეს არის უბრალოდ ტყუილი, იმიტომ, რომ რეალურად ასეთ შემთხვევაში ადამიანები ემორჩილებიან არა უშუალოდ ღმერთს, არამედ რაღაც ეკლესიას, რაღაც რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც უპირისპირდება მთავრობას; ხოლო, როცა ეკლესია ან რაღაც რელიგიური სექტა აცხადებს, რომ ჩვენ ღმერთის ნებას ვახორციელებთ და ღმერთი ჩვენთან არის, ამის შემოწმება შეუძლებელია, ეს უბრალოდ ლიტონი განცხადებაა - ყველა სხვადასხვა ეკლესია, ყველა სხვადასხვა სექტა ამბობს, რომ ისინი არიან ღმერთის ერთადერთი წარმომადგენელი, მაგრამ ამის შემოწმება არავის არ შეუძლია, იმიტომ, რომ უშუალოდ ღმერთს ვერავინ ვერ ჰკითხავს, რომელი სექტაა მისი აზრით უფრო სწორი.
ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ რაციონალური დაფუძნება ხელისუფლებისა საჭიროებს რელიგიისგან გამიჯვნას. რელიგია ეს არის ადამიანის შინაგანი საქმე, ჰობსი სცნობს სინდისის თავისუფლებას, ადამიანს ვისი სწამს, ეს მისი საქმეა, მაგრამ ის უნდა დაემორჩილოს ხელისუფლებას, რომელიც არსებობს და ის რელიგიურ რწმენას ვერ გამოიყენებს ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის საბაბად. ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების ამქვეყნიური ინტერესებით არის გამართლებული და მხოლოდ და მხოლოდ ამქვეყნიური ინტერესების დაცვას ემსახურება.